ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

ოქმი:**ო47. 47232472**

თარიღი:**04/09/2023**

სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 8

დ.ჩოხატაური 23 აგვისტო 2023 წელი

<u>თავმჯდომარეობდა:</u> ბიძინა ცინცაძე.

ესწრებოდნენ: ჯუმბერ ბერძენიშვილი, გივი ჩხიკვაძე, გიორგი მათითაშვილი, დავით გუდავაძე, კახაბერ სიხარულიძე, ზვიად წეროძე, გოგი ბოლქვაძე,არჩილ სიხარულიძე, ნინო რამიშვილი.

არ ესწრებოდნენ: ზვიადი მამალაძე, კლოდი მდინარაძე, ლაშა ირემაძე, დიმიტრი კორიფაძე,

მოწვეული მერიიდან:

ვალერი ყაჭეიშვილი - ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსი;

მერაბ ბერძენიშვილი -არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი;

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციის და მშენებლობის საქმეში გაწეულ მუშაობაზე, მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაციის ცნობად მიღების შესახებ.

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში მდებარე 1200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N28.24.22.214) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

აზრი გამოთქვა: ბიძინა ცინცაძემ, გივი ჩხიკვაძემ, დავით გუდავაძემ,ისინი დაეთანხმნენ დღის წესრიგის წარმოდგენილ პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _10

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციის და მშენებლობის საქმეში გაწეულ მუშაობაზე, მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაციის ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი:მერაბ ბერძენიშვილი

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

მომხსენებელი:მერაბ ბერძენიშვილი

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში მდებარე 1200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N28.24.22.214) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხსენებელი:ვალერი ყაჭეიშვილი

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

მომხსენებელი:მერაბ ბერძენიშვილი

I საკითხი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციის და მშენებლობის საქმეში გაწეულ მუშაობაზე, მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაციის ცნობად მიღების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციის და მშენებლობის საქმეში გაწეულ მუშაობაზე, მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაციის ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

აზრი გამოთქვა: ბიძინა ცინცაძემ, ჯუმბერ ბერძენიშვილმა, ნინო რამიშვილმა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _10

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა და ცნობად მიიღო ინფორმაცია მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციის და მშენებლობის საქმეში გაწეული მუშაობის შესახებ.

II საკითხი:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

მოისმინეს:

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> ნინო რამიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დასაფინანსებელ პროექტებში წარმოდგენილია ბასილეთი-მთისპირის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, რამდენად მართებულია აღნიშნული მონაკვეთის აღდგენა, მაშინ, როცა ცენტრალური გზა უფრო პრიორიტეტულია და მძიმე მდგომარეობაშია, რაზეც ბიძინა ცინცაძემ უპასუხა, რომ ბუკნარი-ბასილეთი-ქვენობნის გზის რეაბილიტაცია სხვა პროექტით უნდა იქნას განხორციელებული.

ნინო რამიშვილი ასევე დაინტერესდა, როცა დაიწყება გზის შეკეთება, მოხდება თუ არა ერთდროულად სანიაღვრე არხების მოწყობაც?

ბიძინა ცინცაძე: ამ ეტაპზე აღნიშნული არ არის გათვალისწინებული.

გოგი ბოლქვაძემ აღნიშნა, როცა გადაწყდება რომელიმე პროექტის განხორცილება, იქნება ეს სოფლის პროექტით თუ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, უმჯობესია გაკეთდეს სრულყოფილად, თუ სახსრები არასაკმარისია, შესაძლოა სოფლები შეთანხმდნენ და ერთ წელს ერთ სოფელში გაკეთდეს სრულყოფილად, ხოლო მომდევნო წელს - მეორეში. მისი აზრით, ბასილეთი-მთისპირის გზის რეაბილიტაციაზე მეტად სხვა შიდა გზების მოწესრიგებაა მნიშვნელოვანი. ამდენად, ის წარმოდგენილი ფორმით საკითხის მოწონების წინააღმდეგია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _9

წინააღმდეგი _ 1(გოგი ბოლქვაძე)

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

III საკითხი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში მდებარე 1200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N28.24.22.214) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მოისმინეს:

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში მდებარე 1200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N28.24.22.214) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

აზრი გამოთქვა: ბიძინა ცინცაძემ, კახაბერ სიხარულიძემ, გოგი ბოლქვაძემ, არჩილ სიხარულიძემ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _10

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი)

მიღებულია გადაწყვეტილება :

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში მდებარე 1200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N28.24.22.214) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

IV საკითხი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

მოისმინეს:

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

აზრი გამოთქვა: ბიძინა ცინცაძემ, გივი ჩხიკვაძემ, გიორგი მათითაშვილმა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _10

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა და ცნობად მიიღო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ბიძინა ცინცაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავმჯდომარე